8009/3-113/22 2 31082022

8009/3-113/22
31-08-2022

შემოსავლების სამსახურის უფროსს
ლევან კაკავას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 32-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, საქველმოქმედო ორგანიზაციამ შესაბამის საგადასახადო ორგანოს ყოველი წლის 1 აპრილამდე უნდა წარუდგინოს: ა) ბოლო წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში; ბ) ფინანსური ანგარიში მიღებული შემოსავლების შესახებ, წყაროებისა და გაწეული ხარჯების მიზნობრიობის მითითებით; გ) დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ბოლო წლის ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში). ამავე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ბოლო წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში და ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) უნდა გამოქვეყნდეს და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის.

გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია საქართველოში მოქმედი ფონდებისა და მათი რაოდენობის შესახებ (დასახელების მითითებით).

ასევე, მომაწოდოთ თითოეული მათგანის მიერ თქვენს უწყებაში წარდგენილი 2018, 2019 და 2020 წლების პროგრამული ანგარიშები და სრული ფინანსური დოკუმენტები, სადაც ასახულია ინფორმაცია მიღებული შემოსავლების, წყაროების შესახებ გაწეული ხარჯების მიზნობრიობის მითითებით.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე